ტრადიციული მედია საშუალებებისადმი უნდობლობის განმსაზღვრელი ფაქტორები და კრიზისის გამწვავების მიზეზები

სტუდენტი: ანა ასანიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე

საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი : მაკო ჯაოშვილი, Ph.D. პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

საავტორო უფლების გვერდი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა ასანიძე

თბილისი, 2026

აბსტრაქტი

ნაშრომი მიმოიხილავს ტრადიციული მედია საშუალებების ნდობის კრიზისის განმსაზღვრელ ფაქტორებსა და მის გამამწვავებელ მიზეზებს - თანამედროვე საინფორმაციო გარემოში. კვლევის აქტუალობა განპირობებულია იმ ტრანსფორმაციით, რომელსაც მედიასივრცე განიცდის ციფრული ტექნოლოგიების, მზარდი პოლარიზაციისა და დეზინფორმაციული ნაკადების პირობებში. ნაშრომის მიზანია იმ სისტემური მიზეზების იდენტიფიცირება, რომლებიც აზიანებს მედიისადმი საზოგადოებრივ ნდობას და საფრთხეს უქმნის დემოკრატიული ინსტიტუტების სტაბილურობას.

კვლევაში გამოყენებულია შერეული მეთოდოლოგია: თვისებრივი კომპონენტი მოიცავს მედიამკვლევართან, მედიაფსიქოლოგთან და ჟურნალისტებთან ჩატარებულ სიღრმისეულ ინტერვიუებს და ტრადიციული მედიის კრიზის გამომწვევი მიზეზების გაანალიზებას. რაოდენობრივი ნაწილი ეფუძნება ონლაინ გამოკითხვას, რომლის ფარგლებშიც შესწავლილია 43 რესპოდენტის ონლაინ გამოკითხვის მონაცემი.

კვლევის მიგნებებით გამოიკვეთა ნდობის კრიზისის უმთავრესი განმსაზღვრელი ფაქტორები: რადიკალური პოლიტიკური მიკერძოება, მედიამფლობელებზე ეკონომიკური დამოკიდებულება და პროფესიული ეთიკის სტანდარტების დარღვევა. გამოიკვეთა, რომ

თანამედროვე საინფორმაციო გარემოში, ტრადიციული მედიასაშუალებების კრიზისის გამამწვავებელ მიზეზად იქცა ციფრულ პლატფორმებზე ინფორმაციის სწრაფი, სენსაციური და ანგაჟირებული კონტენტიც.

დასკვნის სახით, წინამდებარე კვლევაში წარმოდგენილია რეკომენდაციები მედიაგარემოს გაჯანსაღებისთვის. ხაზგასმულია, რომ ფაქტების გადამოწმების მექანიზმების გაძლიერება და ჟურნალისტური ეთიკის დაცვა არის უალტერნატივო წინაპირობა ნდობის აღდგენისა და დემოკრატიული პროცესების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: *ტრადიციული მედია, მედიაუნდობლობა, მედია პოლარიზაცია, პარტიზანული ჟურნალისტიკა, დეზინფორმაცია, ციფრული ტრანსფორმაცია, სარედაქციო დამოუკიდებლობა, საქართველოს მედიაგარემო.*

Abstract

This thesis explores the determining factors of the trust crisis in traditional media and its exacerbating causes within the modern information environment. The relevance of the research is underscored by the profound transformation of the media landscape driven by digital technologies, increasing polarization, and the proliferation of disinformation. The study aims to identify the systemic causes that undermine public trust in media and pose a threat to the stability of democratic institutions.

The research employs a mixed-methods approach. The qualitative component includes in-depth interviews with journalists and media researchers to provide a profound analysis of the causes behind the traditional media crisis. The quantitative part is based on an online survey, analyzing data from 43 respondents.

The research findings identify radical political bias, economic dependence on media owners, and the decline of professional ethical standards as the primary determinants of the trust crisis. Furthermore, the study establishes that in the contemporary information environment, the crisis is exacerbated by the dominance of rapid, sensationalist, and biased content on digital platforms.

In conclusion, the paper offers recommendations for improving the media environment. It emphasizes that strengthening independent fact-checking mechanisms and protecting journalistic autonomy are indispensable prerequisites for restoring trust and ensuring the seamless functioning of democratic processes.

Keywords: Traditional Media, Media Mistrust, Media Polarization, Partisan Journalism, Disinformation, Digital Transformation, Editorial Independence, Media Environment in Georgia.